ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-1307

# საბჭოთა ხელოვნება

1980 8

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ზოშჩენკო

# თარსი დღე

## კომედია ერთ მოქმედებად

1934 წ.

მოქმედი პირნი:

| | |
|---|---|
| კოოპერატივის გამგე | მოლარე |
| დახლის მუშაკი | მეეზოვე |
| მოანგარიშე | მილიციელი |

კოოპერატივის შენობა. ნახევრად ბნელა. დახლზე ხელის ფარანი დგას. იატაკზე საბანია გაშლილი, რომელზეც პროდუქტები აწყვია. მეეზოვე, რომელიც ღამის დარაჯიცაა, ყურებდაცქვეტილია და ფრთხილად, უხმაუროდ მოძრაობს. თაროდან რამდენიმე კოლოფ პაპიროსს იღებს და საბანზე დებს.

პატარა სარკმელი, რომელშიც მეეზოვე შემოძვრა, გამოღებულია.

I.

მეეზოვე. (თავს იმშვიდებს) განა ეს ქურდობაა, მოქალაქენო? ქურდობა ის არის, როცა... ერთი სიტყვით, იპარავენ, ძარცვავენ, გლეჯავენ, სალაროებს ტეხავენ, ანდა ხალხს ყელებს სჭრიან ოხრად. აი ეს ნამდვილი ქურდობაა. მე კი რასაც ვაკეთებ, ქურდობა კი არა, პროვოკაციაა. რა მოხდა ისეთი? შევიდა, ჩემო ბატონო, ღამის დარაჯი კოოპერაციაში, გააყოლა ხელს კაცმა (კასრიდან რამდენიმე ქაშაყს იღებს) სულ ცოტა რამ... (ქაშაყს ნაქურდალთან დებს) და შინისაკენ გასწია. დიდი ამბავი! სახელმწიფო ამით არ დაზარალდება. სახელმწიფოს მიუფურთხებია ასეთი რალაცეებისათვის. (კრავს ბოხჩას და მერე საკუთარ თავს ეუბნება) თუმცა, მოითმინეთ მოქალაქევ, ძეხვით ხომ არ ჩაიგემრიელებდით პირს? (ჩამოიღებს ერთ რგოლ ძეხვს) სხვა ღამის დარაჯი, ვინმე ნადირი და ყაჩაღი რომ შეძვრეს კოოპერატივში, ჩემსავით კი არ დაიწყებს მორცხვობას. არაფრის დიდებით არ დაკმაყოფილდება ერთი რგოლი ძეხვით. ის თავხედი სამ რგოლს აწაპნის, (სამ რგოლ ძეხვს ჩამოხსნის) ან სულაც ოთხს... მე კი სამს ავწაპნი და მეყოფა კიდეც. მე ნამუსიანი ვარ. სახელმწიფოს სხვებივით უსაქონლოდ არ დავტოვებ. სახელმწიფოს ვაჭრობის საშუალებას ვაძლევ. (ბოხჩას გახსნის და შიგ ძეხვს დებს, ყურს მიუგდებს) ეი, უნდა ვიჩქარო. სხვა ვინმე ქურდი და მამაძაღლი რომ შემოვარდეს აქ, წარმოუდგენია, რა ამბავს დაატრიალებს. (ათვალიერებს, კიდევ რა ავიღოო) რის წაღებასაც ვერ მოახერხებს, ალბათ აქვე შესახსლავს, პირუტყვი. (სანსლავს შაქარს, დანარჩენს ჯიბეებში იყრის). განა ეს ქურდობაა, მოქალაქენო? ამას მხოლოდ ჰქვია ქურდობა. (იღებს პროდუქტებიან ბოხჩას) პატიოსანი რომ ვარ, იმიტომ მიმაქვს ასე ცოტა. ბელურასაც კი ვერ გააძღობს ეს... ჩემი დამსახურება იქნება, რომ სამი კაცით ნაკლები იდგება სალაროსთან რიგში. ეს, შეიძლება ითქვას, ჩემის მხრივ ქველმოქმედებაც კი იყოს. უნდა ვიჩქარო. (მიდის სარკმელთან, შე-

მოდებს პროდუქტებიან ბოხჩას და მერე თვითონ მიძვრება). თავგასახეთქ გამგეს, ალბათ, ნერვები აეშლება. ვაი, იტყვის, აწაპნეს ჩემი პროდუქტებიო, გამძარცვეს, დამაქციესო! რა თქმა უნდა, პატიოსან კაცს მართლაც არ ესიამოვნება ასეთი რამის დანახვა. უი, მგონი მოდიან! (გაუჩინარდება).

## 2.

**გამგე.** (აღებს კარს, სინათლეს ანთებს) მე, ივანიჩ, სამუშაოზე ყოველთვის ადრე მიყვარს მოსვლა.

**დახლის მუშაკი.** (ელაქუცება) მე, ვასილ ფეოდოროვიჩ, პირდაპირ გაოგნებული ვარ, როგორი გენიალური პასუხისმგებელი მუშაკი და პატიოსანი ადამიანი ბრძანდებით. ყოველთვის პირველი ხართ ხოლმე თქვენს საბრძოლო პოსტზე.

**გამგე.** (მიბნედილად) ოჰ, რას ამბობ, ივანიჩ, არა ვარ ღირსი...

**დახლის მუშაკი.** (ვერ ამჩნევს, რომ მაღაზია გაქურდულია) სრული ჭეშმარიტებაა, ვასილი ფეოდოროვიჩ, სრული ჭეშმარიტებაა... იცით რა, თქვენ რაღაც განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი პიროვნება ბრძანდებით.

**გამგე.** (დაშაქრულად) მე, ივანიჩ, საერთო საქმისათვის ვცდილობ, საკუთარი თავისათვის ასე ბევრს არ ვიმუშავებდი.

**დახლის მუშაკი.** ეს, რასაკვირველია, ასეა... ეს სრული ჭეშმარიტებაა, ვასილი ფეოდოროვიჩ...

**გამგე.** ხალხის კეთილდღეობისათვის ძალღონეს არ ვიშურებ.

**დახლის მუშაკი.** ეს ასეა... რა თქმა უნდა, ხალხის კეთილდღეობისათვის ძალღონეს არცერთი არ დავიშურებთ. სწორედ ამიტომ გავხდით რაღაც სხვანაირები... ერთი სიტყვით, განსაკუთრებულები.

**გამგე.** რა თქმა უნდა, ივანიჩ, საკუთარი თავისათვის არაფერი გვინდა, კაპიტალისტები ხომ არა ვართ. საერთო ინტერესები — ჩვენი ინტერესებია.

**დახლის მუშაკი.** ეს სწორია, რა თქმა უნდა, სწორია... ნამდვილად სწორია. ჩვენს თავზე სულ არ ვფიქრობთ, ოღონდ სხვები იყვნენ კარგად.

**გამგე.** შენ პოლიტიკურად სწორად მსჯელობ... სხვები ვინღა არიან? სხვები — ჩვენა ვართ...

**დახლის მუშაკი.** მართალია, სრული ჭეშმარიტებაა... სწორედ რომ ჩვენა ვართ. სხვებზე არ ვფიქრობთ, ოღონდ ჩვენ ვიყოთ კარგად.

**გამგე.** ისეთი შრომა, როცა საკუთარ თავზე არ ფიქრობ, რასაკვირველია, აკეთილშობილებს ადამიანს, ივანიჩ, ადამიანი პატიოსანი, დიადი ხდება.

**დახლის მუშაკი.** ჩვენს სიდიადეს, ვასილი ფეოდოროვიჩ, არავის დავუთმობთ. სიდიადე რომ წაგვართვან, ჩვენგან აღარაფერი დარჩება.

**გამგე.** ორთქლი და ბოლი თუ დარჩება, მეტი არაფერი. (კალოშებს იხდის).

**დახლის მუშაკი.** უი, ვასილი ფეოდოროვიჩ...

**გამგე.** რაო?

**დახლის მუშაკი.** უი, ვასილი ფეოდოროვიჩ, ვიღაცამ... რაღაცა...

**გამგე.** (არეულობას შეამჩნევს) რა მოხდა?

**დახლის მუშაკი.** გაგვქურდეს, ვასილი ფეოდოროვიჩ!

**გამგე.** ძმებო! მიშველეთ, ძმებო! გაიქეცი ივანიჩ, მილიციას დაუძახე! ძმებო, ეს რა უბედურებაა ჩემს თავს?.. (ყვირის) მილიცია!

**დახლის მუშაკი.** (ყვირის) მილიცია! (გარბის).

**გამგე.** ხათაბალა თუ გინდათ, ეს არის!

(შემორბის კოოპერატივის მოანგარიშე).

**მოანგარიშე.** ამბობენ, გაუქურდივართ ვიღაცას, ვასილი ფეოდოროვიჩ?

**გამგე.** შეხედე, დატკბი, სახალხო საკუთრება გაიტაცეს. ჩემი ხელით დავახრჩობდი იმ არამზადას, რომელიც ასეთ რამეს ბედავს.

**მოანგარიშე.** დიდი ზარალია, არა, ვასილ ფეოდოროვიჩ?

**გამგე.** არა, ბევრი არაფერი წაუღიათ, მაგრამ მე მორალურად ვიტანჯები, რომ ჩვენს შორის ასეთი უსინდისო ადამიანები არიან. ისე კი, რაღაც წვრილმანი მოიპარეს. აი, ახლა მილიცია მოვა და ოქმს შევადგენთ. წადი, მეეზოვეს დაუძახე. კარგად უყარაულა კოოპერატივს, მე და ჩემმა ღმერთმა. დაე, სირცხვილით დაიწვას ოქმის შედგენის დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოანგარიშე.** ამ წუთას... (ყოყმანობს) ოჰ, ვასილი ფეოდოროვიჩ, ვასილი ფეოდოროვიჩ!..

**გამგე.** რა იყო?

**მოანგარიშე.** ასე ვთქვათ, ძალზე ხელსაყრელი მომენტი ჩაგვივარდა ხელში, ვასილი ფეოდოროვიჩ!..

**გამგე.** რაო?

**მოანგარიშე.** ასე ვთქვათ, ძალზე შესანიშნავი მომენტია-მეთქი. — ოქმია თუ რაღაცაა, რომ შეადგენენ, ხომ დაწერენ...

## 3.

**გამგე.** მერე?

**მოანგარიშე.** განა ცოტა გვაქვს ხოლმე, ვასილი ფეოდოროვიჩ, პროდუქტების დანაკლისი? ხან ცვენით, ხან გაჟონვით, ხან შეხმობით და ხან შეშრობით. კარგი იქნებოდა, ვასილი ფეოდოროვიჩ, გვესარგებლა ამ ქურდობით და ცოტა გადაგვემალა საქონელი, ასე ვთქვათ, მარაგის სახით...

**გამგე.** ჰო, მარაგის სახით შეიძლება, — რამდენადაც ბოლო დროს გაგვიხშირდა ცვენით დანაკლისი...

**მოანგარიშე.** (შთაგონებით) მარაგის სახით, ვასილი ფეოდოროვიჩ. ყოველ თვე უსიამოვნება გვაქვს, ხან ცვენით დანაკლისია, ხან გაჟონვით, ხან შეშრობით. ძალიან საჭიროა ახლა ჩვენთვის მარაგი.

**გამგე.** ოღონდ, რაც შეიძლება მცირე...

**მოანგარიშე.** რა თქმა უნდა, რაც შეიძლება მცირე, ვასილი ფეოდოროვიჩ, ვთქვათ, შაქარი, ვასილი ფეოდოროვიჩ, ხუთ კილომდე აცოცეს. ჩვენ კი ვიტყვით, რომ ათი მოიპარეს. ქურდს, იმ არამზადას, რა ენაღვლება, ჩვენ კი პატარა მარაგი გამოგვივა.

**გამგე.** ჰო, ქურდისათვის ახლა სულერთია.

**მოანგარიშე.** ქურდისათვის, ვასილი ფეოდოროვიჩ, ნამდვილად აბსოლუტურად სულერთია, რამდენს ვიტყვით. სასაცილო ამბავი კია, მას შეეძლო ერთი ტომარა შაქარი ჰქონოდა, მან კი, ყეყეჩმა, შიშით, შეიძლება, ერთი-ორი მუჭა წაიღო. ჩვენც ვისარგებლებთ ამით და...

**გამგე.** ჰო, შაქარი ყოველთვის გვიჭირვებს ხოლმე საქმეს. ყოველთვის დანაკლისი გვაქვს.

**მოანგარიშე.** მეც მაგას არ ვამბობ? გვიჭირვებს ხოლმე შაქარი საქმეს. ახლა კი ყველაფერი რიგზე იქნება.

**გამგე.** სახელმწიფოსათვის, რა თქმა უნდა, სულ ერთია, რამდენადაც ქურდს შეეძლო მეტი მოეპარა.

**მოანგარიშე.** სრული სიმართლეა, მას შეეძლო მთელი კოოპერატივი მოეპარა. ერთი სიტყვით, ძალიან ხელსაყრელი მომენტია. თაღლითობასაც ვერავინ დაგვწამებს და ჩვენც ხელს მოვითბობთ. მომეშველეთ, ვასილი ფეოდოროვიჩ, რომ ეს შაქრიანი ტომარა აქ დავდგათ.

**გამგე.** ერთი ტომარა, ცოტა არ იყოს, ბევრია.

**მოანგარიშე.** რატომაა ბევრი, ვასილი ფეოდოროვიჩ? მე რომ მკითხოთ, ცოტაც არის, მოდით, ვასილი ფეოდოროვიჩ, დასამრგვალებლად კიდევ ერთი ტომარა დავუმატოთ, გამოგვადგება. (დახლის ქვეშ მალავენ ორ ტომარა შაქარს).

**გამგე.** (ძეხვს ნთქავს) იქნებ ძეხვიც გადავმალოთ? ძეხვიც გვიჭირვებს ხოლმე საქმეს, ძალზე ნაზი საქონელია და ბალანსი არ გამოგვდის ხოლმე.

**მოანგარიშე.** რა სალაპარაკოა! აბა მომაწოდეთ სამი რგოლი.

**გამგე.** მაშინ, გაუშვი ოთხი იყოს. ხომ იცი, როგორ ვგიჟდები ძეხვზე. პაპიროსიც ხომ არ აგველო?

**მოანგარიშე.** რა სალაპარაკოა! პაპიროსიც იყოს (მალავს პაპიროსის კოლოფებს).

**გამგე.** მე მგონი მეტი მოგივიდა.

**მოანგარიშე.** ჩემის აზრით კი, ზუსტად ზომაზეა. მბოლავი საქონელია. გააბოლებ და ფაფუ, აღარ არის. ეძებე მერე ბალანსი ცაში. მოდიან, ვასილი ფეოდოროვიჩ.

**გამგე.** რა კარგია, რომ სულელი ქურდი შეგვხვდა.

**მოანგარიშე.** აბსოლუტური შტერი, ვასილი ფეოდოროვიჩ. მე ვიტყოდი, საძაგელი პიროვნება. ქურდი კი არა — მთხლეა.

შემოდიან მილიციელი და დახლის მუშაკი.

## 4.

დახლის მუშაკი. აქეთ, ამხანაგო მილიცია, აქეთ.

მილიციელი. ოჰო, ზორბად უმუშავნიათ.

გამგე. წარმოიდგინეთ, ღამის დარაჯი გვყავს და ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტი კი მოხდა.

დახლის მუშაკი. იგი მეეზოვეცაა და ღამის დარაჯიც.

მილიციელი. მაშ, დაუძახეთ.

გამგე. გაუშვი, აქ იმყოფებოდეს ოქმის შედგენისას. კარგი გაკვეთილი იქნება მისთვის. დაუძახეთ მეეზოვეს.

მოანგარიშე. (სალაროსთან წრიალებს) ამ წუთას, ვასილი ფეოდოროვიჩ, ახლავე დავუძახებ. სალაროს ვამოწმებ. (რაღაცას შეუმჩნევლად იღებს ჯიბეში. სწრაფად მიდის კარისაკენ და ლამის წააქციოს მოლარე, რომელიც კარებში გამოჩნდება).

მოლარე. ოი! ქურდები! (ხელებს მაღლა სწევს).

გამგე. რა გემართება, ხომ არ გადაირიე, მადამ?

მოლარე. მე კი მეგონა, რომ გვძარცვავენ.

გამგე. ცოტა დაგაგვიანდათ, მადამ, უკვე გაგვძარცვეს.

დახლის მუშაკი. შიში ჭამა ქალბატონმა.

მოლარე. ოი, გაგვძარცვეს, ჩემი სალაროსათვის ხომ არ უხლიათ ხელი?

დახლის მუშაკი. მგონი არ უხლიათ.

მოლარე. სწორედ რომ უხლიათ, ყველაფერი არეულ-დარეულია. ორმოცი მანეთი მქონდა, ახლა ეტყობა ნაკლებია, აბა ერთი დავითვალო.

(შემოდიან მოანგარიშე და ქურდი მეეზოვე).

გამგე. ასე უნდა ყარაულობა, გამოშტერებულო?

მეეზოვე. (ძალათი ისრესს თვალებს, თითქოს მხოლოდ ახლა გამოეღვიძა და ამთქნარებს). განა მოხდა რამე?

მოანგარიშე. ჯირკივით ეძინა, ძლივს გავაღვიძე.

დახლის მუშაკი. (მეეზოვეს გამოაჯავრებს) „განა მოხდა რამე?“. იმის მაგივრად, რომ სახალხო საკუთრება დაიცვან, ხვრინავენ და სახელმწიფოს აუტანელ ზარალს აყენებენ.

გამგე. დატკბი!

მეეზოვე. (ძალდატანებით) უი-უი-უი, უი-უი-უი! როგორც ჩანს, გაუქურდიხართ! წარმოგიდგენიათ! აი, საკვირველება!

გამგე. ხედავ?

მეეზოვე. (ხელოვნურად) ვაი-ვაი-ვაი! (უხეიროდ თამაშობს განცვიფრებული ადამიანის როლს. ხან თავზე იტაცებს ხელებს, ხან გულზე) ვაი-ვაი-ვაი! საოცრებაა! საკვირველებაა!

გამგე. ჩემი ხელით დავახრჩობდი ქურდს.

მეეზოვე. (შეშინებული) აბა-აბა! (კისერზე მოისვამს ხელს) რა საჭიროა ხალხის დახრჩობა? ამხანაგო მილიცია...

მილიციელი. ღამის დარაჯი ბრძანდებით?

მეეზოვე. (ყოფითი ხმით) მე-ე? რა თქმა უნდა, ღამის დარაჯი ვარ. როგორც ყოველთვის, ალაყაფის კარებში ვიჯექი. და საეჭვო არაფერი შემიმჩნევია. რა თქმა უნდა, შეიძლება ცოტა წამთვლიმა.

დახლის მუშაკი. (გამოაჯავრებს) „წამთვლიმა“! ბებერი ქოფაკი! რამხელა ზარალი მიაყენა სახელმწიფოს!

მეეზოვე. მაინც კარგია, რომ ბევრის მოპარვა ვერ მოახერხეს.

დახლის მუშაკი. შენის აზრით ცოტა მოიპარეს?

გამგე. პირდაპირ საშინელებაა, იმდენი მოიპარეს.

მეეზოვე. (დაბნეულია) მე კი მგონია, ბევრი ვერაფერი მოიპარეს. ალბათ, სულ ცოტა რამე წაიღეს. მე... მე გამეღვიძებოდა, ბევრი რომ წაეღოთ.

გამგე. აი, ახლა ოქმს შევადგენთ და დარწმუნდები, რა ყვავიც ბრძანდებით და რა ზარალი მიაყენე სახელმწიფოს.

მეეზოვე. შეუძლებელია, რომ ბევრი მოეპარათ, ყოველთვის ფხიზლად მძინავს.

მოანგარიშე. რაც მთავარია, ძალიან ბევრი შაქარი მოუპარიათ.

მეეზოვე. როგორ თუ ბევრი შაქარიო? ხომ არ გადარეულხარ? არ ეტყობა, რომ რამდენიმე მუქია წაღებული?

გამგე. წერე, ამხანაგო მილიციელო.

მოანგარიშე. რაფინადი მოპარულია... ერთი წუთით (რაღაც ქაღალდებში იხედება) რაფინადი ორი ტომარაა მოპარული.

მეეზოვე. როგორ თუ ორი ტომარა? მოქალაქენო! ეი, თქვენ, ხომ არ გაგიჟებულხართ?

გამგე. ძალიან მაგრად გძინებია, ბებერო ტურავ!

მეეზოვე. როგორ თუ ორი ტომარა? რა ორი ტომარა, რის ორი ტომარა? მე... მე გამეღვიძებოდა ორი ტომარა რომ წაეღოთ. მე ყოველთვის ალაყაფის კარების გასწვრივ ვჭიმავ ხოლმე ფეხებს.

გამგე. კიდევ დაიძინებ მორიგეობის დროს? შენი უყურადღებობის გამო სახელმწიფომ აუტანელი ზარალი განიცადა. წერეთ, ამხანაგო მილიციელო. ძეხვეულის საქმე როგორ არის?

მოანგარიშე. შვიდი რგოლი ძეხვი აკლია.

მეეზოვე. როგორ თუ შვიდი? რამდენი, რამდენი?.. როგორა თვლი შე არამზადავ? როგორ თუ შვიდი რგოლი? ამხანაგო მილიცია... რა შვიდი რგოლი, რის შვიდი რგოლი? ვაი ჩემს თავს, ეს რა ხდება, მოქალაქენო!

გამგე. წუხხარ? დარდობ? ახლა მოხვედი გონს, როცა ამ სახალხო უბედურებას ხედავ? სხვა დროს უფრო ფხიზელი ძილი გექნება.

მეეზოვე. როგორ არ უნდა ვიდარდო, როცა ასეთი მოულოდნელი ზარალი განიცადა სახელმწიფომ.

მოანგარიშე. პაპიროსიც აკლია... ას სამოცი კოლოფია მოპარული.

მეეზოვე. ას სამოცი კოლოფი?! ამხანაგო მილიცია... ამხანაგო გამგე! ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება?

მოანგარიშე. ას სამოცი კოლოფი პაპიროსი და თექვსმეტი კოლოფი ასანთი.

მეეზოვე. ასანთიო? რა ასანთზე ლაპარაკობს ეს სალახანა? ამხანაგო მილიცია... ეს რა ამბავია?

გამგე. მოგვაცილეთ ეს მეეზოვე. ყველას ხელებით გვეხება. მუშაობას არ გვაცდის.

მოანგარიშე. აბა, ჯანდაბაში წადი. ძია, როცა დაგვჭირდები, დაგიძახებთ.

მილიციელი. წადი, ამხანაგო, დაგიძახებთ.

მეეზოვე. ბოდიშს ვიხდი. მოვლენებმა შემაშფოთა. ნერვები ამეშალა, მღელვარებამ თავში დამარტყა. მაპატიეთ, წესიერად მოვიქცევი.

მილიციელი. კარგი, დარჩეს.

დახლის მუშაკი. შეხედეთ, როგორ განიცდის კაცი. ეტყობა, წუხს ამდენ ზარალს. ჩამოჯექი, ძია, თორემ სულმთლად შოიშლები.

მოლარე. ჩაწერეთ, რომ სალაროდან მოიპარეს ორმოცი მანეთის ხურდა ფული, ოთხი ქიმიური ფანქარი, კოლდკრემი და მაკრატელი.

მეეზოვე. რა ორმოცი მანეთი? მე... მე... რა ხურდა ფული?.. კიდევ ახალი ამბავი! მაკრატელიო, კოლდკრემიო?.. ამხანაგო მილიცია... ძმებო, მოქალაქენო, ეს რა მესმის!

გამგე. მოაცილეთ ეს მეეზოვე, ხელს გვიშლის უბედობით.

მოლარე. იგი ნერვებს უშლის დახლის მუშაკებს.

დახლის მუშაკი. (მეზობელი ოთახის კარებიდან) აქ ჩემი აბრეშუმის კაშნე და კრაველის ქუდი ეკიდა. ველარ მიპოვნია. ჩაწერეთ.

მეეზოვე. აჰ, შე არამზადავ! არ ამიღია შენი კაშნე. შვიდი რგოლი ძეხვიც არ ამიღია. ნამუსი არა გაქვთ? სულ სამი რგოლი ავიღე. კოლდკრემიც არ ამიღია, მაკრატელიც თვალით არ მინახავს.

პაუზა.

გამგე. როგორ უნდა გავიგოთ ეს?

მეეზოვე. ჯანდაბას თქვენი თავი. გულახდილად ვაღიარებ ყველაფერს, მე ქურდი ვარ. მაგრამ, სხვათა შორის, პატიოსანი კაცი გახლავართ, ჭიანჭველას ფეხს არ დავაბიჯებ.

მილიციელი. როგორ უნდა გავიგოთ ეს?

გამგე. ესე იგი, შენ მოიპარე საქონელი?

მეეზოვე. დიახ, მე. მაგრამ ხელი არ მიხლია ორმოცი მანეთისათვის, მაკრატლისათვის და იმ ოხერი კაშნესათვის. შაქრის ამბავი კი პირდაპირ აბუჩად აგდებაა. მე არ მოგცემთ უფლებას ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტები მომაწებოთ!..

გამგე. ოჰ, რა სალახანაა!

მოანგარიშე. ყოვლად გათახსირებული პიროვნებაა!

გამგე. რასაკვირველია, ამ არეულობაში შეიძლება რამე შეგვეშალა, მაგრამ ყველაფერს შევამოწმებთ. საქონელი ადგილზეა.

მოანგარიშე. საქონელი მაღაზიაშია. თუ გინდათ შეამოწმეთ. ივანიჩ, სად დადგი შაქარი წეღან? დახლქვეშ ხომ არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახლის მუშაკი. თავში ფეხი ხომ არა გაქვს? არავითარი შაქარი არ დამიდგამს არსად. დახლქვეშ შაქარი კი არის, ოღონდ მე არ დამიდგამს.

მოანგარიშე. ალბათ სხვა ვინმემ თუ დადგა. საქონელი მაღაზიაშია, თითქმის მთელი შაქარი სახეზეა.

მოლარე. პარდონ, ხურდა ფულის შეკვრები თურმე სალაროს იქით გადავარდნილა. ფული არ მოუპარიათ. ოღონდ კოლდკრემი და მაკრატელი ვერა ვნახე.

მეეზოვე. უკეთ მოძებნე კრუხის თავო, თორემ მაგ ურცხვ თვალებში შეგაფურთხებ.

მოლარე. ამხანაგო მილიციელო... პლატონ, კოლდკრემიც მოვნახე.

გამგე. გადაწერეთ ოქმი.

მეეზოვე. დათვალე ძეხვი, თორემ ჩემი თავის იმედი არა მაქვს.

დახლის მუშაკი. სამი რგოლი ძეხვია წაღებული.

მეეზოვე. სავსებით სწორია.

მილიციელი. (მეეზოვეს) აბა, წავიდეთ!

დახლის მუშაკი. რა ჯიუტია, როგორ უძალიანდება.

მოანგარიშე. საშიში პიროვნებაა.

გამგე. რაც მთავარია, მორალურად მიმძიმს.

(მილიციელს მეეზოვე გაჰყავს).

7.

გამგე. ოჰ, თურმე რა ხალხი ყოფილა ქვეყანაზე!

დახლის მუშაკი. როგორი უარყოფითი არამზადები, ვასილი ფეოდოროვიჩ!

მოანგარიშე. იგი ღამის დარაჯად დანიშნეს...

დახლის მუშაკი. ნდობით აღჭურვეს.

მოანგარიშე. ის კი ასეთ უმსგავსოებებს ჩადის!

მოლარე. თანაც რა ხეპრეა, როგორ ეპყრობა ქალებს!

დახლის მუშაკი. „კრუხის თავი“ გიწოდათ, არა, ანტონინა ვასილიევნა?

მოლარე. არა, მას მხოლოდ უნდოდა რაღაც ეთქვა... მაკრატელი კი მაინც ვერ ვიპოვნე, ღმერთმანი ვერ ვიპოვნე! რა მეშველება ახლა. ხელფასიდან გამომიქვითავენ მის საფასურს.

მოანგარიშე. თუ ღმერთი გწამთ, ნუ წუწუნებთ. (ჯიბიდან მაკრატელს იღებს და იატაკზე აგდებს). აი, ვიღაცის მაკრატელი გდია იატაკზე. მე ქუდი მომპარეს და ხმას არ ვიღებ. შესანიშნავი კრაველის ქუდი მქონდა. რა ვქნა ახლა, რა დავიხურო ზამთარში თავზე?

გამგე. უი, კალოშებიც მოუპარიათ. სად არის ჩემი კალოშები? წარმოგიდგენიათ, გუშინ კალოშები ვიყიდე, დღეს კი აწაპნეს. ოჰ, რა თარსი დღეა, რაღა მეშველება, მე ხომ ადვილად ვცივდები.

გამყიდველი. (კალოშებს იხდის და იატაკზე აწყობს). ვიღაცის კალოშებია კუთხეში, თქვენი ხომ არაა, ვასილი ფეოდოროვიჩ?

გამგე. ოჰ, ჩემია, ჩემი!

დახლის მუშაკი. იმ სალახანამ, ქურდბაცაცამ ალბათ განგებ დააწყო კასრთან. იფიქრა, მერე წავიღებო.

გამგე. მაგრამ კალოშები ხომ გაქურდვის შემდეგ გავიძრე.

დახლის მუშაკი. ქურდი ხომ მერეც შემოვიდა და ალბათ თვალში ჩაუვარდა ახალთახალი კალოშები.

გამგე. ჰო, ალბათ მართლაც ქურდობის შემდეგ აწაპნა.

მოანგარიშე. (წუწუნებს) შესანიშნავი კრაველის ყურებიანი ქუდი იყო. ცოლი ახლა სიცოცხლეს გამომასალმებს.

გამგე. ტვინი ნუ წაიღეთ წუწუნით. უმაგისოდაც გული მიღონდება. (თავისი ჯიბიდან ქუდს ამოიღებს და იატაკზე დააგდებს) ვერა ხედავთ, იატაკზე გდია თქვენი კრაველის ქუდი.

მოანგარიშე. ღმერთმანი ჩემი ქუდია. როგორ დაუჭმუჭნიათ, ფეხებით გაუთელიათ.

გამგე. (მიბნედილად). ოჰ,რა თარსი დღეა!

დახლის მუშაკი. (სევდით უყურებს კალოშებს) მეტისმეტად თარსი დღეა, ვასილი ფეოდოროვიჩ.

გამგე. ეი, ხალხნო... ვინა ხართ ქრისტიანი, ცუდადა ვარ, ერთი ჭიქა მურაბიანი ჩაი დამალევინეთ!..

თარგმნა ჭ. ბუხნიკაშვილმა.

მზია ხეთაგური

# თეთრი კალათა

ლირიკული დრამა ორ მოქმედებად

მოქმედნი პირნი:

სულიკო
ცისანა
მარგალიტა
ლეილა
ნანა
ლალი
მარიკა
ევა
ზინა
ავთო — სცენაზე არ ჩნდება.

## მოქმედება პირველი

### სურათი პირველი

სამშობიარო სახლის ერთი პალატის ფანჯარას შემოდგომის მზის სხივი ადგას. პალატაში რვა საწოლი დგას. დილის საუზმე მოთავებულია. ნანასა და ლეილას კალმები მოუმარჯვებიათ და, საწოლში მოკალათებულები, გატაცებით წერენ. მარგალიტა საწოლებს შორის დადის და კარნახობს.